დანართი №4

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

ხელოვნებათმცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)

საბაკალავრო პროგრამა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

2024 წელი, 9 დეკემბერი

დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის,საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებითგათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშისშეფასებისპრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეულიმეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

თამთა

თურმანიძე

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204861970

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	ხელოვნებათმცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)
2	უმაღლესი განათლების საფეხური	საბაკალავრო
3	კვალიფიკაციის დონე[2]	VI
4	კვალიფიკაციის დასახელება	ხელოვნების ისტორიის და თეორიის ბაკალავრი
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[3]	N/A
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)[4]	0213 სახვითი ხელოვნება Fine Arts
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	240
9	განხორციელების ადგილი[5]	კორპუსები A, B და D ილია ჭავჭავაძის გამზირი N32, თბილისი, საქართველო
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული, 27/10/2023 გადაწყვეტილება N1456545
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	27.10.2023
12	საგანმანათლებლო პროგრამებისაკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების	27.10.2024

[1]დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს
[2]ეროვნულიკვალიფიკაციებისჩარჩოსმიხედვით
[3]მასწავლებლისმომზადებისინტეგრირებულისაბაკალავრო-სამაგისტროსაგანმანათლებლოპროგრამისშემთხვევაში
[4]განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)
[5]ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

	შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	31 დეკემბერი 2030

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამებისაკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლოპროგრამისმიზანი, სწავლისშედეგებიდამათთანპროგრამისშესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამისათვისებისშეფასებისადეკვატურობა	X			
3. სტუდენტთამიღწევები, მათთანინდივიდუალურიმუშაობა	X			
4. სწავლებისრესურსებითუზრუნველყოფა	X			
5. სწავლებისხარისხისგანვითარებისშესაძლებლობები	X			

შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი[6]

1. საგანმანათლებლო გამოცდილების გასაზრდელად და სტუდენტების შესაძლებლობებისა და დარგობრივი კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, რეკომენდებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა განიხილოს მაღალი სიმძლავრის კომპიუტერებით აღჭურვილი ელექტრო ლაბორატორიის შექმნა. ეს ლაბორატორია კონკრეტულად იმ სტუდენტებს მოემსახურება, რომლებიც ჩართულნი არიან დიზაინში და „გრაფიკული ხელოვნებისა“ და „გამოყენებითი ხელოვნება მხატვრული კერამიკა საჯარო სივრცეებისათვის“ საბაკალავრო პროგრამებში;
2. რეკომენდებულია გაიზარდოს სტუდენტების ჩართულობა სამეცნიერო-კვლევით ღონისძიებებსა და საერთაშორისო პროექტებში;
3. სტუდენტთა პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმდეს მემორანდუმები, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება სტუდენტების რაოდენობა და პრაქტიკის განხორციელების ვადები;
4. რეკომენდებულია სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ჩართულობა თვითშეფასების ჯგუფში;
5. რეკომენდებულია საერთაშორისო თანამშრომლობის გასაფართოებლად აკადემიური და მოწვეული პერსონალის წახალისება; საერთაშორისო მეცნიერებისა და ხელოვანების მოწვევა თავიანთი ნამუშევრების წარსადგენად; უფრო მეტ საერთაშორისო პროექტებსა და პროგრამებში აქტიური მონაწილეობა;
6. რეკომენდებულია პროგრამების ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნას პერსონალის განვითარების, კვლევითი და მეთოდური მუშაობისათვის, ასევე სტუდენტური პროექტებისთვის საჭირო ხარჯები;
7. რეკომენდებულია გაგრძელდეს IT აღჭურვილობის განახლება, რათა დაემატოს უახლესი ტექნოლოგიების მქონე მანქანები, რომლებიც სტუდენტების მუშაობას უფრო ეფექტურსა და პროფესიონალურს გახდის.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[7]

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა 2024 წლის 10 ოქტომბერს წარმოადგინა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიში საბაკალავრო პროგრამისთვის „ხელოვნებათმცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)“. ანგარიშის წარმოდგენა მოხდა საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ვადის შესაბამისად.

აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების მიზნით, უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის, საგანმანათლებლო

---

[6]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

[7]საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

პროგრამის ხელმძღვანელის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელისა და მენეჯერის შემადგენლობით.

საბაკალავრო პროგრამის ,,ხელოვნებათმცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)“ სამუშაო ჯგუფმა გაითვალისწინა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციები და განახორციელა ცვლილებები მათ გამოსასწორებლად:

1. რეკომენდაციის შესრულების მიზნით და უნივერსიტეტში შესაბამისი სიმძლავრის მქონე კომპიუტერებით აღჭურვილი ლაბორატორიის ჩამოსაყალიბებლად, ინსტიტუციამ განახორციელა შემდეგი ღონისძიებები:
   - შესაბამისი კომპლექტაციისა და სიმძლავრის ახალი 12 კომპიუტერის შესყიდვის მიზნით გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი. აღნიშნული ტენდერი ამ ეტაპზე დასრულებულია, გამოვლენილია მომწოდებელი კომპანია, რომელთანაც გაფორმებულია ხელშეკრულება.
   - მოხდა სააუდიტორიო სივრცეში არსებული კომპიუტერების კომპლექტაციის განახლება და გაძლიერება
   - სახვით და გამოყენებით ხელოვნების ცენტრში დამონტაჟდა მონიტორი და პროექტორი.
2. სამეცნიერო კვლევით ღონისძიებებსა და საერთაშორისო პროექტებში სტუდენტთა მეტი ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით საანგარიშო წლის განმავლობაში საბაკალავრო პროგრამის „ხელოვნებათმცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)“ ერთმა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა ERASMUS+ სტუდენტურ გაცვლით პროგრამაში და 5 თვის განმავლობაში იმყოფებოდა ესტონეთის მუსიკისა და თეატრის აკადემიაშ, ესტონეთი; 2024 წლის მარტში ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებმა გაანალიზეს “Arcane Spaces”-ის გამოფენა “ახალი რწმენა”, რომელშიც მონაწილეობდნენ საერთაშორისო გამოცდილების მქონე ხელოვანები; 2024 წლის 12 აპრილს სტუდენტები დაესწრნენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის, ხათუნა ხაბულიანის კურატორობით გამართულ ნიუ-იორკის აკადემიის კურსდამთავრებული ხელოვანის თედო რეხვიაშვილის გამოფენას “მეხსიერება,ძალაუფლება და ცდუნებები” და შეასრულეს შესაბამისი დავალებები.

3. 2024 წლის ოქტომბის თვეში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის ,,ხელოვნებათმცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)” ფარგლებში გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმთან.
4. სტუდენტების და კურსდამთავრებულების თვითშეფასების პროცესში მეტად ჩართვის მიზნით, სტუდენტთა ყოველსემესტრული გამოკითხვის შედეგების გაანალიზების პარალელურად, უნივერსიტეტში ჩატარდა ფოკუს-ჯგუფი და მოეწყო მრგვალი მაგიდის ტიპის შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს, როგორც მოქმედმა სტუდენტებმა, ასევე კურსდამთავრებულებმა. აღნიშნულ შეხვედრაზე იმსჯელეს პროგრამის დადებითი და გასაუმჯობესელი მხარეების შესახებ და დასახეს მომავალი განვითარების გზები.
5. საანგარიშო წლის განმავლობაში საბაკალავრო პროგრამის „ხელოვნებათმცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)“ განხორციელებაში ჩართულმა პროფესორ-მასწავლებლებმა სხვადასხვა სახის აქტივობები განახორციელეს საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოების მიმართულებით:
   - ათონის ივერიონის ქართველთა მონასტრის დაარსებიდან 1040 წლისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ვორქშოპი Iviron through the Ages ორგანიზება და აბსტრაქტების გამოცემა
   - სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზება და წაკითხული მოხსენებების, როგორც ელექტრონული, ასევე ბეჭდური სახით გამოცემა
   - სტუდენტებს ქონდათ ბერძენი არქეოლოგის ონლაინ მოხსენებაზე დასწრების საშუალება

- ილიაუნის გამომცემლობის მიერ დაიბეჭდა ქართულ-ინგლისური კრებული „ბიზანტიური, შუა საუკუნეების ქართული და აღმოსავლეთ ქრისტიანული მონასტრები: ხელოვნება, არქიტექტურა, ლიტერატურა“ (Byzantine, Medieval Georgian, and East Christian Monasteries: Art, Architecture, Literature), რომელშიც გაერთიანებულია ხუთი ქვეყნის სხვადასხვა თაობისა და აკადემიური ტრადიციის უნივერსიტეტისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ინსტიტუციის წარმომადგენელი 12 მკვლევარის ნაშრომი.

პროგრამის პროფესორმა ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებში, მათ შორის ERASMUS+ ფარგლებში ითანამშრომლა სიენის (იტალია), ჟირონას (ესპანეთი) უნივერსიტეტებთან კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიმართულებით, ასევე მონაწილეობა მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების დემოკრატიული კომისისიის მცირე საგრანტო პროექტში “Crossroads: Creating a Virtual Cultural Heritage Network with US and Georgian High School Students.”

6. ინსტიტუციამ დააფიქსირა საკუთარი მიდგომა აკრედიტავიის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციის შესრულების თაობაზე, რომელიც შემდეგი გარემოებებით ახსნა - იქედან გამომდინარე, რომ საბაკალავრო პროგრამის **ხელოვნებათმცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)** განხორციელებაში ჩართული უნივერსიტეტის პერსონალი ასევე ჩართულია უმაღლეს სასწავლებელში მოქმედი სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების და განვითარების პროცესში, კონკრეტული პროგრამის ბიუჯეტში პერსონალის განვითარებისათვის საჭირო რესურსის გათვალისწინება არ იქნება მიზნობრივი ხარჯი, რადგან თითოეული პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ფინანსური რესურსები უკვე ინტეგრირებულია ერთიან საუნივერსიტეტო ბიუჯეტში, პროგრამის საჭიროებების გათვალისწინებით.

   უნივერსიტეტში ასევე მოქმედებს პიროვნული და პროფესიული განვითარების ცენტრი, რომელიც აორგანიზებს სხვადასხვა მიმართულების ტრენინგებს უნივერსიტეტის პერსონალისთვის. ინსტიტუციიდან გამოთხოვნილი დოკუმენტაციის თანახმად საანგარიშო წლის განმავლობაში 9 შესაბამისი შინაარსის ტრენინგი ჩატარდა.

   პერსონალის პროფესიული განვითარებისა და კვლევითი საქმიანობის მხარდასაჭერად უნივერსიტეტი აფინანსებს აკადემიური პერსონალის მიერ საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნების, საერთაშორისო კონფერენციებსა და ვორკშოპებში მონაწილეობის ხარჯებს.

   კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტი ასევე უზრუნველყოფს სამეცნიერო ჟურნალების, კრებულების და სხვა სასწავლო მასალების ბეჭდვას, რაც საანგარიშო წლის მანძილზე გამოცემული კრებულებითაც დასტურდება. უნივერსიტეტი ასევე ყოველ წელს აორგანიზებს სამეცნიერო პიკნიკს და სამეცნიერო კაფეს.

   სტუდენტური პროექტების დასაფინანსებლად, უნივერსიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სპეციალური ფონდი.

6. რეკომენდაციის შესრულების მიზნით ინსტიტუციაში მოხდა შესაბამისი კომპლექტაციისა და სიმძლავრის 12 კომპიუტერის შესყიდვა, განახლდა და გაძლიერდა სააუდიტორიო სივრცეში არსებული კომპიუტერების კომპლექტაცია, სახვით და გამოყენებით ხელოვნების ცენტრში დამონტაჟდა მონიტორი და პროექტორი.

რჩევ(ებ)ი[8]

1. ----------
2. ----------

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[9]

დამატებითი ინფორმაცია[10]

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ისგათვალისწინების შესახებ[11]

სტანდარტის დასახელება[12]	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება[13]	2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
რეკომენდაცია I[14]	საგანმანათლებლო გამოცდილების გასაზრდელად და სტუდენტების შესაძლებლობებისა და დარგობრივი კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, რეკომენდებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა

[8]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)
[9]საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.
[10]საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში
[11]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით
[12]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[13]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[14]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	განიხილოს მაღალი სიმძლავრის კომპიუტერებით აღჭურვილი ელექტრო ლაბორატორიის შექმნა. ეს ლაბორატორია კონკრეტულად იმ სტუდენტებს მოემსახურება, რომლებიც ჩართულნი არიან დიზაინში და „გრაფიკული ხელოვნებისა“ და „გამოყენებითი ხელოვნება მხატვრული კერამიკა საჯარო სივრცეებისათვის“ საბაკალავრო პროგრამებში;
შეფასება	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციის შესასრულებლად სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელდა სხვადასხვა სახის აქტივობა. კერძოდ: 1, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის წარდგინებისა და შესაბამისი სამსახურების ჩართულობით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საიტზე www.procurement.gov.ge გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი კოდით NAT240020413, რომლის მიზანსაც შესაბამისი კოპლექტაციის 12 კომპიუტერის შესყიდვა წარმოადგენდა. ამ ეტაპზე ტენდერი უკვე შემდგარია, გამოვლენილია გამარჯვებული კომპანია, რომელთანაც გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება. 2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურმა განაახლა სააუდიტორიო სივრცეებში არსებული კომპიუტერების კომპლექტაცია, კერძოდ, კომპიუტერებს დაემატა ოპერატიული მეხსიერება (RAM) და შეიცვალა მყარი დისკები (SSD). 3. სასწავლო პროცესის ხარისხის ასამაღლებლად და დარგობრივი კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, სახვით და გამოყენებით ხელოვნების ცენტრში დამონტაჟდა მონიტორი და პროექტორი. აღნიშნული ღონისძიებები ოპტიმალურია აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციის შესასრულებლად
რჩევა[15]I	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• კომპიუტერების შესყიდვის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საიტზე www.procurement.gov.ge გამოცხადებული ტენდერი კოდით NAT240020413 • სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ცენტრის დირექტორის წარდგინება, მონიტორისა და პროექტორის მოთხოვნასთან დაკავშირებით

[15]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
რეკომენდაცია II[16]	რეკომენდებულია გაიზარდოს სტუდენტების ჩართულობა სამეცნიერო-კვლევით ღონისძიებებსა და საერთაშორისო პროექტებში.
შეფასება	სამეცნიერო კვლევით ღონისძიებებსა და საერთაშორისო პროექტებში სტუდენტთა მეტი ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით საანგარიშო წლის განმავლობაში: • ERASMUS+ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში 5 თვის განმავლობაში ერთი სტუდენტი იმყოფებოდა ესტონეთის მუსიკისა და თეატრის აკადემიაშ, ესტონეთი; • 2024 წლის მარტში ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებმა გაანალიზეს “Arcane Spaces”-ის გამოფენა “ახალი რწმენა”, რომელშიც მონაწილეობდნენ საერთაშორისო გამოცდილების მქონე ხელოვანები; • 2024 წლის 12 აპრილს სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ დასწრებოდნენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის, ხათუნა ხაბულიანის კურატორობით გამართულ ნიუ-იორკის აკადემიის კურსდამთავრებული ხელოვანის თედო რეხვიაშვილის გამოფენას “მეხსიერება,ძალაუფლება და ცდუნებები” და შეესრულებინათ შესაბამისი დავალებები.
რჩევა[17]II	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	

სტანდარტის დასახელება[18]	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

[16]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[17]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[18]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

კომპონენტის დასახელება[19]	2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
რეკომენდაცია I[20]	სტუდენტთა პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმდეს მემორანდუმები, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება სტუდენტების რაოდენობა და პრაქტიკის განხორციელების ვადები;
შეფასება	2024 წლის ოქტომბის თვეში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის ,,ხელოვნებათმცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" ფარგლებში გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმთან.
რჩევა[21]I	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

სტანდარტის დასახელება[22]	3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა
კომპონენტის დასახელება[23]	3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

[19]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[20]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[21]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[22]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[23]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

რეკომენდაცია I[24]	რეკომენდებულია სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ჩართულობა თვითშეფასების ჯგუფში.
შეფასება	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციის შესრულებისა და საბაკალავრო პროგრამების თვითშეფასების პროცესში სტუდენტების და კურსდამთავრებულების მეტად ჩართვის მიზნით, სსიპ ილიას სახლემწიფო უნივერსიტეტმა განახორციელა სხვადასხვა აქტივობა. უნივერსიტეტში ტრადიციულად ყოველი სემესტრის ბოლოს ტარდება სტუდენტთა გამოკითხვა, რომელიც ინსტიტუციას ეხმარება სასწავლო პროგრამების შეფასებაში, ასევე უზრუნველყოფს სტუდენტებთან კომუნიკაციას და სასწავლო პროგრამის განხორციელებაში მათ ჩართულობას. აღნიშნული გამოკითხვების რაოდენობრივი შედეგების გაანალიზების პარალელურად უნივერისტეტში ჩატარდა ფოკუს-ჯგუფი, რომელზეც გამოვლენილმა მეთოდოლოგიური სინთეზით შეგროვებულმა მონაცემებმა, შესაძლებელი გახადა, როგორც პროგრამის, ასევე - ცალკეულ კურსებთან და სადიპლომო ნამუშევართან დაკავშირებული ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება. საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტში ჩატარდა მრგვალი მაგიდის ტიპის შეხვედრა, რომელზეც მოხდა ყოველსემესტრული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებისა და ჩატარებული ფოკუს-ჯგუფის მონაცემების სინთეზური შეფასება და მიღებული მონაცემების ანალიზი.
რჩევა[25]I	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• აქტიურ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა პროგრამის თვითშეფასების ჯგუფში ჩართულობის მიმოხილვის დოკუმენტი. • ფოკუს-ჯგუფის სადისკუსიო თემის აღწერა

[24]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[25]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

სტანდარტის დასახელება[26]	4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება[27]	4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
რეკომენდაცია I[28]	რეკომენდებულია საერთაშორისო თანამშრომლობის გასაფართოებლად აკადემიური და მოწვეული პერსონალის წახალისება; საერთაშორისო მეცნიერებისა და ხელოვანების მოწვევა თავიანთი ნამუშევრების წარსადგენად; უფრო მეტ საერთაშორისო პროექტებსა და პროგრამებში აქტიური მონაწილეობა
შეფასება	საბაკალავრო პროგრამის ,,ხელოვნებათმცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" პროფესორ-მასწავლებლები საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩართული იყვნენ სხვადასხვა საერთაშორისო პროექტსა და კვლევით აქტივობაში, კერძოდ: ● 2023 წლის 2 დეკემბერს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ავსტრიული ბიბლიოთეკის დარბაზში გაიმართა ათონის ივერიონის ქართველთა მონასტრის დაარსებიდან 1040 წლისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ვორქშოპი Iviron through the Ages, რომლის მთავარი ორგანიზატორიც იყო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შუა საუკუნეების კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი ნინო ჭიჭინაძე (მოხსენებების აბსტრაქტები მომზადდა ელექტრონული ფორმით); ვორქშოპის საერთაშორისო საორგანიზაციო და სამეცნიერო კომიტეტთან ერთად სრული მოხსენებების კრებულის გამოიცემა; ● 2024 წლის 14 ივნისს პროგრამის და შუა საუკუნეების კვლევის ცენტრის ხელმძღვანელის, პროფ. ნინო ჭიჭინაძის ინიციატივით ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია "კულტის კონსტრუირება შუა საუკუნეების საქართველოში" (მოხსენებების თეზისები გამოიცა ელექტრონული და ბეჭდური სახით); ● 2024 წლის 15 ოქტომბერს გაიმართა არქეოლოგ დიონისე მურელატოსის ონლაინ მოხსენება თემაზე „ბიზანტიური ძეგლების მენეჯმენტი თანამედროვე საბერძნეთში (XIX-XX სს.)". მოხსენებების შესახებ ინფორმაცია მიეწოდათ სტუდენტებს - დასწრება იყო თავისუფალი;

[26]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[27]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[28]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	● შუა საუკუნეების კვლევის ცენტრის ხელმძღვანელის, პროფ. ნინო ჭიჭინაძის ინიციატივით და რედაქტორობით მომზადდა და 2024 წლის 17 ოქტომბერს ილიაუნის გამომცემლობის მიერ დაიბეჭდა ორენოვანი, ქართულ-ინგლისური კრებულში „ბიზანტიური, შუა საუკუნეების ქართული და აღმოსავლეთ ქრისტიანული მონასტრები: ხელოვნება, არქიტექტურა, ლიტერატურა“ (Byzantine, Medieval Georgian, and East Christian Monasteries: Art, Architecture, Literature), რომელშიც გაერთიანებულია ხუთი ქვეყნის სხვადასხვა თაობისა და აკადემიური ტრადიციის უნივერსიტეტისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ინსტიტუციის წარმომადგენელი 12 მკვლევრის ავტორის ნაშრომები. თითოეული მათგანი ისინი არიან თავისი დარგის აღიარებული სპეციალისტები, რომლებიც უნივერსიტეტებსა თუ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ინსტიტუციებში მოღვაწეობენ. კრებულის ერთ-ერთი თანაავტორი და რედაქტორი გახლავთ პროფესორი ნინო ჭიჭინაძე. იგი ასევე არის კრებულში გაერთიანებული ერთ-ერთი სტატიის ავტორი. წიგნის/კრებულის Byzantine, Medieval Georgian, and East Christian Monasteries: Art, Architecture, Literature.. ნაშრომები ორმაგი, ბრმა რეცენზირებით შეირჩა. პროგრამის პროფესორმა ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა მონაწილეობა მიიღო შემდეგ საერთაშორისო პროექტებში: ● US Democracy Commission small grant (SGG80023GR0068) 2023-24 Project “Crossroads: Creating a Virtual Cultural Heritage Network with US and Georgian High School Students.” Ilia State University and Bridgewater State University, MA ● Erasmus+ K171 2022-2025 “Scientific-cultural collaboration between CGT University of Siena and Ilia State University (Georgia)” University of Siena, Center of Geotechnologies, and Ilia State University Cultural Heritage and Environment Research Center ● Erasmus+ K107 2022-25. “Scientific-cultural collaboration between the University of Girona and Ilia State University (Georgia)” University of Girona, Campus of Natural and Cultural Heritage, and Ilia State University Cultural Heritage and Environment Research Center ● ERASMUS+ KA107 STA 2020-2023 “Scientific-cultural collaboration between DST UNIFI and Ilia State University (Georgia)” Earth sciences, Arts and humanities, inter-disciplinary programs, Architecture, and town planning Ilia State University Cultural Heritage and Environment Research Center and University of Florence (in collaboration with ISPRA)

რჩევა[29]I	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• https://shorturl.at/UJEY7~ • https://shorturl.at/iVw9V • https://shorturl.at/m8DSi

სტანდარტის დასახელება[30]	4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება[31]	4.5. პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
რეკომენდაცია I[32]	რეკომენდებულია პროგრამების ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნას პერსონალის განვითარების, კვლევითი და მეთოდური მუშაობისათვის, ასევე სტუდენტური პროექტებისთვის საჭირო ხარჯები;
შეფასება	წარმოდგენილ ანგარიშში ინსტიტუციამ დააფიქსირა საკუთარი მიდგომა აკრედიტავიის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციის შესრულების თაობაზე, რომელიც შემდეგი გარემოებებით ახსნა - იქედან გამომდინარე, რომ საბაკალავრო პროგრამის **ხელოვნებათმცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)** განხორციელებაში ჩართული უნივერსიტეტის პერსონალი ასევე ჩართულია უმაღლეს სასწავლებელში მოქმედი სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების და განვითარების პროცესში, კონკრეტული პროგრამის ბიუჯეტში პერსონალის განვითარებისათვის საჭირო რესურსის გათვალისწინება არ იქნება მიზნობრივი ხარჯი, რადგან თითოეული პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ფინანსური რესურსები უკვე ინტეგრირებულია ერთიან საუნივერსიტეტო ბიუჯეტში, პროგრამის საჭიროებების გათვალისწინებით. პერსონალის განვითარებისა და კვლევითი საქმიანობის, ასევე სტუდენტური პროექტებისთვის საჭირო ხარჯები

[29]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[30]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[31]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[32]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	გათვალისწინებულია როგორც ფაკულტეტის, ისე ცენტრალურ საუნივერსიტეტო ბიუჯეტში. ანგარიშში აღნიშნულია, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს პიროვნული და პროფესიული განვითარების ცენტრი, რომელიც აორგანიზებს სხვადასხვა მიმართულების ტრენინგებს უნივერსიტეტის პერსონალისთვის. ინსტიტუციიდან გამოთხოვნილი დოკუმენტაციის თანახმად საანგარიშო წლის განმავლობაში 9 შესაბამისი შინაარსის ტრენინგი ჩატარდა. პერსონალის პროფესიული განვითარებისა და კვლევითი საქმიანობის მხარდასაჭერად უნივერსიტეტი აფინანსებს აკადემიური პერსონალის მიერ საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნების, საერთაშორისო კონფერენციებსა და ვორკშოპებში მონაწილეობის ხარჯებს. კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტი ასევე უზრუნველყოფს სამეცნიერო ჟურნალების, კრებულების და სხვა სასწავლო მასალების ბეჭდვას, მაგალითად, საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ პროფ. ნინო ჭიჭინაძის რედაქტორობით მომზადებული სამეცნიერო შრომების კრებულის Literature გამოცემა/ბეჭდვა. კვლევითი საქმიანობის ხელშწყობის მიზნით, უნივერსიტეტი აფინანსებს სხვადასხვა კვლევით პროექტს, უზრუნველყოფს ლაბორატორიების მოწყობის, შენახვის და საკვლევი მასალების შეძენის ხარჯებს. მეცნიერების პოპულარიზაციის მიზნით, უზრუნველყოფს სამეცნიერო პიკნიკის და სამეცნიერო კაფის ორგანიზების ხარჯებს. სტუდენტური პროექტების დაფინანსების მიზნით, უნივერსიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სპეციალური ფონდი, რომლის ფარგლებშიც ფინანსდება სტუდენტური კლუბების თუ ცალკეული სტუდენტების მიერ ინიცირებული პროექტები. მაგალითად, საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სტუდენტების მონაწილეობა კანის ლომების ადგილობრივ ახალგაზრდულ კონკურსში, ასევე

	სტუდენტების გასვლა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე
რჩევა[33]I	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ ჩატარებული ტრენინგების ჩამონათვალი

სტანდარტის დასახელება[34]	4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება[35]	4.4. მატერიალური რესურსი
რეკომენდაცია I[36]	რეკომენდებულია გაგრძელდეს IT აღჭურვილობის განახლება, რათა დაემატოს უახლესი ტექნოლოგიების მქონე მანქანები, რომლებიც სტუდენტების მუშაობას უფრო ეფექტურსა და პროფესიონალურს გახდის.
შეფასება	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის წარდგინებისა და შესაბამისი სამსახურების ჩართულობით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საიტზე www.procurement.gov.ge გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი კოდით NAT240020413, რომლის მიზანსაც შესაბამისი კოპლექტაციის 12 კომპიუტერის შესყიდვა წარმოადგენდა. ამ ეტაპზე ტენდერი უკვე შემდგარია, გამოვლენილია გამარჯვებული კომპანია, რომელთანაც გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება. გარდა ამისა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურმა განაახლა სააუდიტორიო სივრცეებში არსებული კომპიუტერების კომპლექტაცია, კერძოდ, კომპიუტერებს დაემატა

[33]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[34]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[35]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[36]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

რჩევა[37]I	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• კომპიუტერების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ტენდერის უნიკალური კოდი NAT240020413; • სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ცენტრის დირექტორის წარდგინება, მონიტორისა და პროექტორის მოთხოვნასთან დაკავშირებით.

თანდართული დოკუმენტაცია[38]

ექსპერტის ხელმოწერა

[37]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[38]თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა